კომუნისტი

ᲛᲤᲠᲝᲮᲔᲚᲢᲐᲛᲬᲔᲒᲝ ᲛᲔᲚᲐ ᲫᲕᲔᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲛᲬᲔᲠᲚᲝᲑᲘᲡ ᲫᲔᲚᲘ, ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲓᲘᲗ!

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲠᲐᲜᲒᲔᲑᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ — ОРГАН ЦК К ТК КП ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ 38-Ე ᲬᲔᲚᲘ № 241 (10938)	ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘ, 11 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ, 1957 Წ.	ᲤᲐᲡᲘ 20 ᲙᲐᲞ.

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲑᲠᲫᲔᲜᲘ ᲒᲔᲚᲐᲓᲘᲐ

ᲘᲘᲠᲘᲡᲨᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘ ᲗᲐᲠᲘᲦᲘ — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავს საბჭოთა ხალხი ხვდება უდიდესი მსოფლიო მნიშვნელობის გამარჯვებებით.

ყოველივე ის, რითაც ჩვენი ხალხი კანონიერად ამაყობს, ყველა მისი დიდი მიღწევები დაკავშირებულია კომუნისტური პარტიის დიად სახელთან. პარტია არის სულისჩამდგმელი, ბელადი და ორგანიზატორი ყველა იმ გამარჯვებისა, რაც მოიპოვა საბჭოთა ხალხმა 40 წლის მანძილზე.

რუსეთის მუშათა კლასმა მშრომელ გლეხობასთან კავშირში, ბოლშევიკური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით, დიდი ლენინის მეთაურობით მოახდინა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია, დაამხო მემამულეებისა და კაპიტალისტების ბატონობა, შექმნა მსოფლიოში პირველი საბჭოთა სახელმწიფო, ააგო სოციალისტური საზოგადოება და ახლა წარმატებით აშენებს კომუნიზმს.

კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობდა და ხელმძღვანელობს ჩვენს ქვეყანაში გრანდიოზულ ეკონომიურ და კულტურულ მშენებლობას. ჩვენი ქვეყანა გადაიქცა მძლავრ ინდუსტრიულ სახელმწიფოდ. სამრეწველო პროდუქციის საერთო მოცულობა 1957 წელს 33-ჯერ აღემატება 1913 წლის დონეს.

პარტიის ხელმძღვანელობით ძირეულად შეიცვალა ჩვენი სოფლის მეურნეობა. მისმა სოციალისტურმა გარდაქმნამ საშუალება მისცა საკოლმეურნეო გლეხობას ბევრად გაეღიდებინა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება, დაუმკვიდრა ბედნიერი ცხოვრება.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენს ქვეყანაში მოხდა უდიდესი კულტურული რევოლუცია. შექმნილია საჭირო პირობები იმისათვის, რომ ყველამ მიიღოს საშუალო და უმაღლესი განათლება. ამჟამად ჩვენში ყველა სახეობის სწავლებაში ჩაბმულია 50 მილიონზე მეტი კაცი, უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში 4 მილიონზე მეტი სტუდენტი სწავლობს ნაცვლად 1913 წლის 182 ათასისა.

თვითეული საბჭოთა პატრიოტის, ყველა ჩვენი საზღვარგარეთელი მეგობრის, მთელი პროგრესული კაცობრიობის გულს ახარებს საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები. როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირში 1954 წლიდან მუშაობს მსოფლიოში პირველი ატომური ელექტროსადგური და ამჟამად წარმოებს ახალი ატომური ელექტროსადგურების მშენებლობა. ჩვენში აშენებულია მსოფლიოში ყველაზე მძლავრი ამჩქარებელი ნაწილაკებისა — სინქროფაზოტრონი. ამ ცოტა ხნის წინათ გაშვებულ იქნა ზეშორი, საკონტინენტთაშორისო, მრავალსაფეხურიანი ბალისტიკური რაკეტი, რომელიც მიფრინავს დიდ სიმაღლეებზე, რომლებიც დღემდე არ ყოფილა მიღწეული, და რომელსაც შეუძლია ზუსტად გავიდეს დედამიწის დანიშნულ რაიონში. ამ დღეებში დედამიწის ხელოვნური საბჭოთა თანამგზავრის გაშვებით გაიხსნა პირველი სარკმელი კოსმოსში, მსოფლიო სივრცეში. ეს კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით მოპოვებული საბჭოთა მეცნიერების უდიდესი ტრიუმფია.

ᲯᲔᲠ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲪᲮᲠᲐᲐᲡᲘᲐᲜᲘ ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲓᲔᲒᲡ, ჩვენი პარტიის შექმნის გარიჟრაჟზე, დიდი ლენინი ამბობდა: „მოგვეცით რევოლუციონერთა ორგანიზაცია, და ჩვენ გადავაბრუნებთ რუსეთს“.

ბრძენი ლენინის ეს წინასწარმეტყველური სიტყვები აღსრულდა. სახელოვანი კომუნისტური პარტია, რომელიც შექმნა დიდმა ლენინმა, უძლეველ ძალად გადაიქცა. ძნელი და რთული ბრძოლების პირობებში ლენინურმა პარტიამ ბრწყინვალედ შეასრულა თავისი ისტორიული როლი— ყოფილიყო მუშათა კლასის, ყველა მშრომელის იდეური ხელმძღვანელი და პოლიტიკური ბელადი სოციალიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში. ამჟამად მისი ბრძნული ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხი მიდის წინ კომუნიზმისაკენ.

ისტორია გვასწავლის, რომ თუ არ არის პარტია, რომელიც თავის რიგებში აერთიანებს თავდადებულ მებრძოლებს, თუ არ არის პარტია, რომელიც ძლიერია მარქსისტულ-ლენინური თეორიით, თავისი რიგების რკინისებური ერთიანობით, ხალხის მასებთან განუყრელი კავშირით, მუშათა კლასი, მშრომელები ვერ გაიმარჯვებენ.

საბჭოთა ხალხი გამსჭვალულია უდიდესი სიყვარულით თავისი მშობლიური კომუნისტური პარტიისადმი, რომელსაც არ გააჩნია სხვა მიზანი, მისწრაფება და ინტერესი, გარდა თავისი ხალხისადმი თავდადებული სამსახურისა.

მხოლოდ კომუნისტური პარტიის მტკიცე ხელმძღვანელობით, რომელიც შეიარაღებულია უძლეველი მარქსისტულ-ლენინური თეორიით, შესაძლებელი გახდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება, ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური საზოგადოების აშენება, დიდ სამამულო ომში გამარჯვება, კომუნიზმის გზით ძლევამოსილი წინსვლა. ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვებამ საბჭოთა ხალხი დააყენა პროგრესული კაცობრიობის სათავეში. ყოველივე ეს კომუნისტური პარტიის დიდი ღვაწლი და დამსახურებაა.

ამჟამად, სოციალისტური მშენებლობის დამთავრებისა და კომუნიზმში თანდათანობითი გადასვლის პირობებში, კომუნისტური პარტია არის საბჭოთა ხალხის თავდადებული შრომის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი. პარტია ზრდის, რაზმავს და წინ მიუძღვის მშრომელებს მათს ბრძოლაში ახალი მიღწევებისათვის სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა ფრონტზე. ჩვენი მუშების, გლეხების, ინტელიგენციის შემოქმედებითი შრომა მიმართულია იმისაკენ, რომ შეიქმნას კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, გადავწყვიტოთ მთავარი ეკონომიური ამოცანა — დავეწიოთ და გავუსწროთ მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოების მხრივ.

ამ ისტორიული ამოცანის სწრაფად გადაწყვეტის საქმეში თავისი წვლილი შეაქვს ქართველ ხალხს, ჩვენი რესპუბლიკის ყველა მშრომელს. რესპუბლიკის საწარმოებსა და მშენებლობებზე, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მძლავრად არის გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრება, რათა მისცენ სამშობლოს სულ უფრო მეტი სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია.

პარტიის ძალა და უძლეველობა მის იდეურ და ორგანიზაციულ ერთიანობაშია, მასებთან მის ურღვევ კავშირშია, ქვეყნისადმი მარქსისტულ-ლენინურ ხელმძღვანელობაშია. ვინც ცდილობს თუნდაც ოდნავ შეასუსტოს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი როლი, ის კომუნიზმის მტრებს ეხმარება.

კომუნისტურმა პარტიამ, მთელმა საბჭოთა ხალხმა ერთსულოვნად დაგმეს მალენკოვის, კაგანოვიჩის, მოლოტოვის და მათთან მიმხრობილი შეპარლოვის ანტიპარტიული ჯგუფის გამოშიველი, ფრაქციული საქმიანობა. ანტიპარტიულმა ჯგუფმა გაილაშქრა პარტიის XX ყრილობის ხაზის წინააღმდეგ, მშრომელთა კეთილდღეობის ამაღლებისათვის დასახული ღონისძიებების წინააღმდეგ. ფრაქციონერები ბნელებულ და განადგურებულ იქნენ, რამაც კიდევ უფრო განამტკიცა პარტიის რიგების რკინისებური ერთიანობა.

ჩვენი პარტიის უდიდესი ძალა იმაშია, რომ მას უნარი შესწევს შემოქმედებითად განავითაროს მარქსიზმ-ლენინიზმი იმ ამოცანების გადასაწყვეტად, რომლებსაც აყენებს თვითონ ცხოვრება, კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკა. შემოქმედებითი მარქსიზმის განვითარების ერთ-ერთ შესანიშნავ ნიმუშს და გამოყენებას წარმოადგენს პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებანი, რომლებმაც შეაიარაღეს საბჭოთა ხალხი კომუნიზმისათვის შემდგომი ბრძოლის პროგრამით.

კომუნიზმის მტრებს, მშვიდობისა და პროგრესის მტრებს, დემოკრატიისა და თავისუფლების მტრებს უაღრესად სძულთ ჩვენი პარტია, რადგან იგი ჩვენი ეპოქის დიდი სიმართლის მატარებელი და მქადაგებელია. სამაგიეროდ ჩვენი პარტია უყვართ, მას პატივს სცემენ მსოფლიოს ხალხები, ყველა ქვეყნის მშრომელნი და ჩაგრულნი, ყველა კონტინენტის ყველა პროგრესული ადამიანი. ამაშია კომუნისტური პარტიის უძლეველი ძალა.

ვ. ი. ლენინი კომუნისტურ პარტიას თვლიდა ჩვენი ეპოქის გონებად, პატიოსნებად და სინდისად. სახელოვანი კომუნისტური პარტიის წინამძღოლობით საბჭოთა ხალხმა მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებები მოიპოვა. მისივე ხელმძღვანელობით ძლევამოსილად მიდის წინ, კომუნიზმისაკენ.

ᲓᲔᲓᲐᲛᲘᲬᲘᲡ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲣᲠᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲒᲖᲐᲕᲠᲘᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲘᲡ, ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲡᲠᲘᲣᲛᲤᲘᲡ

★ ★ ★

ᲓᲔᲓᲐᲛᲘᲬᲘᲡ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲣᲠᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲒᲖᲐᲕᲠᲘᲡ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის გაშვებასთან და მოძრაობასთან დაკავშირებული საკითხები კვლავ მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრშია. ოთხმოცდაათმა კილოგრამი და ექვსასი გრამი წონის თანამგზავრის გაშვება მიაჩნიათ როგორც საბჭოთა კავშირის უდიდესი მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევა და როგორც უდიდესი მოვლენა მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებაში.

მსოფლიოს ყველა კუთხიდან კვლავ მოდის ვრცელი ინფორმაცია თანამგზავრსა და მატარებელ რაკეტზე დაკვირვებათა შესახებ. 10 ოქტომბრის 6 საათისათვის მოსკოვის დროით თანამგზავრმა 78-ჯერ შემოუარა დედამიწას, გაიარა თითქმის სამნახევარი მილიონი კილომეტრი. თანამგზავრსა და მატარებელ რაკეტზე საბჭოთა კავშირში კვლავ წარმატებით აწარმოებენ დაკვირვებას სამეცნიერო სადგურები და რადიოლოკაციის პუნქტები. უკანასკნელ ხანს მიღებულია მთელი რიგი მეტად დიდმნიშვნელოვანი მონაცემები ლენინგრადის, უფგოროდის, არხანგელსკის, ტარტუსა და სხვა ქალაქების ასტრონომიული პუნქტებიდან. მთელი რიგი ასტრონომიული პუნქტები დაკვირვებას აწარმოებდნენ როგორც თანამგზავრის, ისე მატარებელი რაკეტის მოძრაობაზე. თანამგზავრის მოძრაობა შეუიარაღებელი თვალით ნახეს იაკუტსკელმა ამხ. დუდკომ, ხომალდის კაპიტნის უფროსმა თანაშემწემ ამხ. კოსტოგლოტოვმა ბალტიის ზღვაში, იუევსკელმა ასტრონომიის მასწავლებელმა ამხ. ტრეფილოვმა და ბევრმა სხვამ. ძვირფასი ინფორმაცია მიღებულია ბევრი რადიომყვარულისაგან. სისტემატურად აწარმოებენ დაკვირვებას თანამგზავრის ფრენაზე ამხანაგები კისლიცინი (სვერდლოვსკი), ვიშნევსკი, სტიხნო (მაგადანი), ჩერნიშოვი (ნოვოსიბირსკი), გრიგორიევი (ჩიტა), ბასინა, გონჩაროვაკი (ლვოვი), ლემეშევი (არხანგელსკი) და სხვ.

სამეცნიერო სადგურებიდან, რადიოლოკაციის პუნქტებიდან, აგრეთვე რადიომყვარულებისაგან მიღებულ, ვრცელ ინფორმაციას გულმოდგინედ ამუშავებენ და იყენებენ თანამგზავრისა და მატარებელი რაკეტის მოძრაობის პარამეტრების დასაზუსტებლად. ტრაექტორიულ განზომილებათა მონაცემების დამუშავება გვიჩვენებს, რომ დედამიწის გარშემო თანამგზავრის ბრუნვის პერიოდი მცირდება ყოველ დღედამეში დაახლოებით სამი წამით. ბრუნვის პერიოდის უმნიშვნელო სადღეღამისო ცვლილება საშუალებას გვაძლევს ვამტკიცოთ, რომ თანამგზავრი დიდხანს იმოძრავებს დედამიწის გარშემო. ამჟამად მოხდა მანძილის უმნიშვნელო ცვლილება თანამგზავრსა და მატარებელ რაკეტს შორის.

10 და 11 ოქტომბერს თანამგზავრის მოძრაობის დაკვირვებისათვის გადმოგცემთ მსოფლიოს იმ ძირითადი პუნქტების სიას, რომლებსაც თანამგზავრი გადაუვლის (მოსკოვის დროით):

10 ოქტომბერი

ვანკუვერი — 9 საათი და 52 წუთი, კორალ-ჰარბორი — 9 საათი და 57 წუთი, კორდოვა (ესპანეთი) — 10 საათი და 10 წუთი, იოჰანესბურგი — 10 საათი და 30 წუთი, ფიჯის კუნძულები — 11 საათი და 08 წუთი, სიმპსონი (კანადა) — 11 საათი და 32 წუთი, კორალ-ჰარბორი — 11 საათი და 36 წუთი, ბატერსტი (აფრიკა) — 11 საათი და 54 წუთი, ადილეიდი (ავსტრალია) — 12 საათი და 39 წუთი, მაკაი (ავსტრალია) — 12 საათი და 44 წუთი, დილენჰემი (ალასკა) — 13 საათი და 07 წუთი, პორტ-ჰარისონი — 13 საათი და 16 წუთი, ჟუან-პესოა (სამხრეთი ამერიკა) — 13 საათი და 37 წუთი, კემპის მიწა — 14 საათი და 03 წუთი, ოგასტა (ავსტრალია) — 14 საათი და 16 წუთი, დერბი (ავსტრალია) — 14 საათი და 21 წუთი, კომანდორის კუნძულები — 14 საათი და 41 წუთი, ფერნანდესი — 14 საათი და 47 წუთი, დეტროიტი — 14 საათი და 57 წუთი, ვაშინგტონი — 14 საათი და 59 წუთი, კუნძული ჰაიტი — 15 საათი და 04 წუთი, კურიტიბა — 15 საათი და 19 წუთი, ბანდუნგი — 16 საათი და 00 წუთი, შანხაი — 16 საათი და 10 წუთი, სეული — 16 საათი და 12 წუთი, ვლადივოსტოკი — 16 საათი და 14 წუთი, ოხა (სახალინი) — 16 საათი და 17 წუთი, უელენი — 16 საათი და 23 წუთი, დისლეი (კანადა) — 16 საათი და 28 წუთი, დენვერი — 16 საათი და 35 წუთი, სან-ანტონიო — 16 საათი და 38 წუთი, სან-სალვადორი — 16 საათი და 43 წუთი, კალიაო — 16 საათი და 51 წუთი, სანტ-იაგო — 16 საათი და 58 წუთი, ლანჯოუ — 17 საათი და 48 წუთი, ჩიტა — 17 საათი და 53 წუთი, უგოლნაია — 18 საათი და 01 წუთი, ასკინუკი (ალასკა) — 18 საათი და 03 წუთი, სან-ფრანცისკო — 18 საათი და 12 წუთი, კუნძული ცეცხლოვანი მიწა — 18 საათი და 42 წუთი, კუნძული მადაგასკარი — 19 საათი და 08 წუთი, კარაჩი — 19 საათი და 22 წუთი, ყიზილი — 19 საათი და 30 წუთი, ვილიუისკი — 19 საათი და 33 წუთი, დატჩ-ჰარბორი — 19 საათი და 42 წუთი, გრეიამის მიწა — 20 საათი და 24 წუთი, კეიპტაუნი — 20 საათი და 40 წუთი, ადის-აბება — 20 საათი და 53 წუთი, თეირანი — 21 საათი და 00 წუთი, არალსკი — 21 საათი და 03 წუთი, ომსკი — 21 საათი და 06 წუთი, უსტ-კამჩატსკი — 21 საათი და 17 წუთი, პაპეიტე (ოკეანია) — 21 საათი და 41 წუთი, გრეიამის მიწა — 22 საათი და 03 წუთი, ბატა (აფრიკა) — 22 საათი და 27 წუთი, ანკარა — 22 საათი და 37 წუთი, ქერჩი — 22 საათი და 39 წუთი, პენზა — 22 საათი და 42 წუთი, პერმი — 22 საათი და 43 წუთი, ტურუხანსკი — 22 საათი და 47 წუთი, აიანი — 22 საათი და 53 წუთი, კურილის კუნძულები — 22 საათი და 56 წუთი, სამოას კუნძულები — 23 საათი და 15 წუთი.

11 ოქტომბერი

ფრიტაუნი — 00 საათი და 04 წუთი, ალჟირი — 00 საათი და 12 წუთი, გენუა — 00 საათი და 15 წუთი, ვენა — 00 საათი და 16 წუთი, ვარშავა — 00 საათი და 17 წუთი, ლენინგრადი — 00 საათი და 19 წუთი, ვლადივოსტოკი — 00 საათი და 35 წუთი, ტოკიო — 00 საათი და 36 წუთი, ველინგტონი (ახალი ზელანდია) — 01 საათი და 00 წუთი, მონტევიდეო — 01 საათი და 28 წუთი, რიო-დე-ჟანეირო — 01 საათი და 32 წუთი, მანჩესტერი — 01 საათი და 54 წუთი, ოსლო — 01 საათი და 56 წუთი, არხანგელსკი — 02 საათი და 00 წუთი, ულან-ბატორი — 02 საათი და 09 წუთი, ხანკოუ — 02 საათი და 14 წუთი, კანბერა — 02 საათი და 36 წუთი, ლა-პასი (სამხრეთი ამერიკა) — 03 საათი და 11 წუთი, ჯორჯტაუნი — 03 საათი და 17 წუთი, ფარერის კუნძულები — 03 საათი და 32 წუთი, არხანგელსკი — 03 საათი და 38 წუთი, ნიჟნი ტაგილი — 03 საათი და 41 წუთი, ბანგკოკი — 03 საათი და 55 წუთი, ბანდუნგი — 04 საათი და 01 წუთი, ონსლოუ (ავსტრალია) — 04 საათი და 06 წუთი, სან-ხოსე — 04 საათი და 53 წუთი, კუნძული ნიუფაუნდლენდი — 05 საათი და 04 წუთი, რეიკიავიკი — 05 საათი და 12 წუთი, სტანჰვერი — 05 საათი და 14 წუთი, ლენინგრადი — 05 საათი და 16 წუთი, მოსკოვი — 05 საათი და 17 წუთი, აშხაბადი — 05 საათი და 24 წუთი, ბომბეი — 05 საათი და 29 წუთი, მეხიკო — 06 საათი და 32 წუთი, ლიტლ-როკი — 06 საათი და 36 წუთი, ჩიკაგო — 06 საათი და 38 წუთი, ფრედერიკსჰობი — 06 საათი და 45 წუთი, რეიკიავიკი — 06 საათი და 48 წუთი, ოსლო — 06 საათი და 51 წუთი, კალინინგრადი — 06 საათი და 54 წუთი, ოდესა — 06 საათი და 57 წუთი, ბაღდადი — 07 საათი და 01 წუთი, ლოს-ანჟელოსი — 08 საათი და 12 წუთი, პორტ-ნელსონი — 08 საათი და 19 წუთი, ლეიკ-ჰარბორი — 08 საათი და 22 წუთი, ლონდონი — 08 საათი და 32 წუთი, პარიზი — 08 საათი და 33 წუთი, რომი — 08 საათი და 35 წუთი, კუნძული მადაგასკარი — 08 საათი და 54 წუთი. (საკდესი).

ᲓᲔᲓᲐᲛᲘᲬᲘᲡ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲣᲠᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲒᲖᲐᲕᲠᲘᲡ ᲮᲘᲚᲕᲐᲓᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა პუნქტიდან საქდესში მოდის ცნობები თანამგზავრზე შეუიარაღებელი თვალით დაკვირვების შესახებ.

საკდესის კორესპონდენტმა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ასტრონომიულ საბჭოს სთხოვა განმარტება მოეცა ასეთი სახის დაკვირვებაზე. ასტრონომიული საბჭოს უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა ა. მ. ლოზინსკიმ განაცხადა:

— ისევე როგორც დედამიწისა და მზის სისტემის სხვა სხეულების ზედაპირი, თანამგზავრი განათებულია მზის სხივებით. მაგრამ დღისით კაშკაშა ცის ფონზე თანამგზავრის გარჩევა შეუძლებელია. დილით და საღამოთი კი, როცა ცის სიკაშკაშე მკვეთრად მცირდება, მისი დანახვა უკვე შეიძლება დურბინდით და პატარა ჭოგრით. როცა მზე ჩადის და განათებული რჩება ატმოსფეროს მხოლოდ უაღრესად მაღალი ფენები, რომლებიც თანამგზავრის ორბიტს ზემოთ იმყოფებიან, იგი აგრეთვე ხვდება დედამიწის ჩრდილში და აღარ ჩანს. ამიტომ ოპტიკური სადგურები დაკვირვებას აწარმოებენ მხოლოდ საღამოს და დილის ბინდბუნდში.

რაც შეეხება თანამგზავრის ხილვადობას შეუიარაღებელი თვალით, უნდა აღინიშნოს, რომ მეტი წილი ცნობები ამის შესახებ შეეხება დაკვირვებას მატარებელ-რაკეტზე, რომელიც ახლა არსებითად აგრეთვე ცის სხეულია და დედამიწის გარშემო ბრუნავს. იმის მეოხებით, რომ მას მეტი აქვს, ვიდრე თანამგზავრს, სინათლის ამრეკლავი ზედაპირი, მატარებელი რაკეტის დანახვა უფრო ადვილია.

თანამგზავრი, რომლის კორპუსი აგებულია ალუმინის შენადნობებისაგან, კარგად არეკლავს სინათლეს და მასზე დაკვირვება შეუიარაღებელი თვალით შესაძლებელია იმ შემთხვევაში, როცა იგი გადაუვლის დაკვირვების ადგილს შედარებით გვიან, როცა ცის ფონი უკვე მნიშვნელოვნად დაბნელებულია.

(საკდესი).

ᲓᲔᲓᲐᲛᲘᲬᲘᲡ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲣᲠᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲒᲖᲐᲕᲠᲘᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲡᲠᲘᲣᲛᲤᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

ᲔᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ

ალბათ ნიუ-იორკს
დღეს სიზმარში თავი ჰგონია,
აღარც კი იცის
გაოცება როგორ გვაჩვენოს.
კრემლის განთიადს
ეს რა სხივი ამოჰყოლია,
რომ დედამიწას
მთვარესავით უვლის გარშემო.
ალბათ ლონდონი
პირველობას კიდეც ინატრებს,
მაგრამ ამაოდ,
ძლიერება აღარ ეყოფა.
ვინ აღუდგება
ამ ვეება დედამიწაზე
ჩვენს გაქანებას,
ჩვენს მიღწევას და ჩვენს ერთობას.
ვიცი, პეკინი
გაიზარდა ერთიათასად
და გუშინდელზე
დღეს ძლიერად დილამ იალა,
ალბანი ბავშვი
სიამაყით დადგა დაფასთან.
როცა მის მაღლა
თანამგზავრმა გადაიარა.

ვიცი, იმედით
გააყოლეს თვალი ზანგებმა,
აღაპყრეს ხელი
და შესძახეს: — მარად იქროლოს!
აფრიკის მკვიდრი
სწორდება და წელში მაგრდება,
რომ დედამიწის
თანამგზავრის ხმა გაიგონოს.
ეს გამარჯვება,
ეს მომავალის დიდი ნუგეში,
უცებ რომ ასე
ჯერ არნახულ იქცა გუგუნად,
აქ დაიბადა,
საბჭოეთის ხალხთა გულებში,
რომ შემოერტყას
დედამიწას ხსნად და შუქურად.
გზაბედნიერმა
სამყაროში ასე იაროს,
მას ხომ ნამდვილად
მილიონთა გული ელოდა,
რომ ყველა ვარსკვლავს
ახაროს და გაუზიაროს
თავისუფლების
და მშვიდობის უძლეველობა.

ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲒᲝᲠᲒᲐᲜᲔᲚᲘ.

ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲐᲖᲠᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲖᲔᲘᲛᲘ

დედამიწის პირველი ხელოვნური თანამგზავრის გაშვება უდიდესი მნიშვნელობის გამარჯვებაა. ამ ფაქტმა სავსებით დაამაჯერებლად დაამტკიცა კვლავ ადამიანის გონების ყოვლისშემძლეობა, მისი უპირატესობა ბუნების ძალებთან ბრძოლაში.

დედამიწის ხელოვნური ანუ ტექნიკური თანამგზავრი მეცნიერებაში აღნიშნავს სრულიად ახალ ერას. საქმე მარტო ის კი არ არის, რომ ადამიანმა იმ ზომამდე განავითარა ტექნიკა, რომ შეძლო კაცობრიობის ისტორიაში აქამდე ყველაზე უფრო გაბედული ნაბიჯის გადადგმა საპლანეტთაშორისო სივრცეში. არანაკლებ მნიშვნელოვანია ის, რომ ჩვენს წინ გაიშალა სამყაროს გამოკვლევის პრინციპულად ახალი, ეფექტური მეთოდებისა და საშუალებათა უართო გამოყენების პერსპექტივა. ასტრონომიული ობიექტების ხანგრძლივი დაკვირვება-გამოკვლევის შესაძლებლობა დედამიწის ატმოსფეროს გარეშე წერტილებიდან ერთობ მრავალსა და მნიშვნელოვან ცნობას მოუპოვებს მეცნიერებას. სწორედ ასეთი შესაძლებლობა ისახება ახლა, როცა ტექნიკური თანამგზავრის შექმნის ამოცანა გადაწყვეტილია.

ძნელია დაახლოებითაც კი შევაფასოთ ის, თუ რამდენს ახალსა და მოულოდნელს მოგვიტანს მეცნიერება ახლო მომავალში.

საბჭოთა მეცნიერს არ შეუძლია არ განიცდიდეს მღელვარე მადლობის გრძნობას კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიმართ, რომლებიც არ იშურებენ ძალას და მატერიალურ სახსრებს მეცნიერების განვითარებისათვის, ურომლისოდაც შეუძლებელია კაცობრიობის პროგრესი და კეთილდღეობა.

განსაკუთრებულ შინაგან სიხარულს უნდა განიცდიდეს საბჭოთა ახალგაზრდობა, რომელიც, ეჭვს გარეშეა, მოწმე იქნება საპლანეტთაშორისო სივრცეში ადამიანის მოგზაურობის განხორციელებისა და ახალი დიადი აღმოჩენებისა კოსმოსური ფიზიკის დარგში.

დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის გაშვების ფაქტი უფრო მეტად უნდა აღაფრთოვანებდეს მოსწავლე ახალგაზრდობას ცოდნის შეძენისა და შრომისათვის. ასეთი დიადი მონაპოვარი მდიდარი ცოდნისა და დიდი შრომის ნაყოფია. გზა კოსმოსის სიღრმეებისაკენ, ისევე როგორც გზა ნათელი მომავლისაკენ — ცოდნის შეუპოვარი დაგროვებისა და თავდადებული შრომის გზაა.

* * *

აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის რადიოსტრონომიულ ლაბორატორიაში ობსერვატორიის მეცნიერმა მუშაკმა რადიო-ინჟინერმა ა. სემიონოვმა ორჯერ მიიღო რადიონიშნები თანამგზავრიდან, როცა იგი იმყოფებოდა კრასნოდარისა და ბათუმის რაიონებში.

საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოწყობილია დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის დასაკვირვებელი სამი სამეცნიერო სადგური: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აბასთუმნის ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში (სადგურის გამგე ი. ალანია), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან (გამგე ასისტ. გ. კვირკველია) და ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტთან (გამგე დოც. ნ. კალანდაძე). თვითეული სადგური აღჭურვილია 30 დასამზერი ჭოგრით. ყოველ სადგურშია 30 დამკვირვებელი, რომელთა შემადგენლობაში ასტრონომები, მეცნიერი მუშაკები, ასისტენტები, ლაბორანტები და სტუდენტები მზად არიან იმისათვის, რომ აღნიშნონ თანამგზავრის გავლა მოცემული სადგურის მერიდიანზე და განსაზღვრონ მისი კოორდინატები.

ᲐᲐ. ᲮᲐᲠᲐᲫᲔ,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის დირექტორი.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲘᲡ ᲣᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲝ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ

გამოჩენილი რუსი მეცნიერი და გამომგონებელი კ. ციოლკოვსკი 1935 წელს, უკვე ღრმად მოხუცი, წერდა: „ყველა ჩემს შრომას ავიაციის, რაკეტული ნაოსნობისა და საპლანეტთაშორისო მიმოსვლის დარგში ეუტოვებ ბოლშევიკების პარტიასა და საბჭოთა მთავრობას — კაცობრიობის კულტურული პროგრესის ჰეშმარიტ ხელმძღვანელებს“.

დღეს მსოფლიო მოწმეა საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის ახალი უმაგალითო გამარჯვებისა, კ. ციოლკოვსკის ერთ-ერთი იდეის პრაქტიკული განხორციელებისა. უკვე რამდენიმე დღეა, რაც ჩვენს პლანეტას გარშემო უვლის და რადიოსიგნალებს გვიგზავნის საბჭოთა კავშირის მეცნიერთა და კონსტრუქტორთა დაძაბული მუშაობის შედეგად შექმნილი, მსოფლიოში პირველი ხელოვნური თანამგზავრი დედამიწისა. იგი მოძრაობს დედამიწიდან 900 კილომეტრის დაშორებით საათში 30.000 კილომეტრი სიჩქარით. ამ ბრწყინვალე ექსპერიმენტით უდიდესი წვლილია შეტანილი მსოფლიო მეცნიერების საგანძურში.

საბჭოთა მეცნიერები გაბედულად შეუდგნენ ატმოსფეროს მაღალი ფენების ბუნების შესწავლას. ის, რაც ოცნების საგანს შეადგენდა, სინამდვილედ იქცა. დედამიწის ხელოვნური თანამგზავრები გზას გაგვიკაფავენ საპლანეტთაშორისო მოგზაურობისათვის, პლანეტებისა და კოსმოსური სივრცის ღრმად შესწავლისათვის.

ყოველი საბჭოთა მოქალაქის გულს სიამაყის გრძნობით აღავსებს ჩვენი მეცნიერებისა და ტექნიკის მსოფლიოში უბადლო ეს გამარჯვება, რომელიც ი

კომუნისტების მაღალი, შემოქმედებითი აქტივობის ნიშნით

პარტიული ორგანოების ანგარიშგება-არჩევნები

რუსთავის რკინაბეტონის ნაკეთობათა კომბინატის პირველადი პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე

★ ★ ★ ★

რკინაბეტონის ნაკეთობათა კომბინატი რუსთავის ერთ-ერთი მსხვილი საწარმოა. აქ მექანიზებული წესით ამზადებენ 60-ზე მეტი სახეობის რკინაბეტონის კონსტრუქციებსა და დეტალებს, რომლებზეც დიდი მოთხოვნილებაა ჩვენი რესპუბლიკის ახალშენებლობებზე.

ყოველი დღე, რომელიც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის სახელოვან თარიღთან გვაახლოებს, მკაფიოდ მოწმობს, თუ როგორ თანდათან ზრდიან მებეტონენეები მუშაობის ტემპს ნაკისრ ვალდებულებათა სასახელოდ შესრულებისათვის.

ოქტომბრის დასაწყისისათვის კომბინატის კოლექტივმა გეგმის გადასნეტებით 3.242 კუბმეტრი ასაწყობი რკინაბეტონის ნაკეთობანი გამოუშვა.

ასეთი სასახელო მაჩვენებლებით წარსდგნენ კომბინატის კომუნისტები თავიანთ საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე, რომელიც 7 ოქტომბერს გაიმართა და რომელმაც მაღალი პოლიტიკური აქტივობის ნიშნით ჩაიარა.

პარტიული კრება მოეწყო ადმინისტრაციული სახლის ახალ შენობაში. ეს ნაგებობა კომბინატის კოლექტივმა სწორედ საანგარიშო-საარჩევნო კრების წინა დღით—6 ოქტომბერს მიიღო მშენებლებისაგან საოქტომბრო საჩუქრად.

როგორ მომზადდა კრება

საანგარიშო-საარჩევნო პარტიული კრების მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე მოსაწყობად პარტბიურომ ბაყოფიერი მუშაობა გასწია. მზადებას კრების მოწვევამდე ორი კვირით ადრე შეუდგნენ. ეს საკითხი პარტბიუროს წევრთა მსჯელობის საგანი გახდა. პარტბიუროს სხდომაზე საანგარიშო-საარჩევნო კრების ორგანიზებულად მოწყობისათვის კონკრეტული ღონისძიებანი დასახეს. დაზუსტდა კომბინატში არსებული ექვსივე პარტიული ჯგუფის საანგარიშო-საარჩევნო კრებების მოწვევის ვადები.

ანგარიშგება-არჩევნების მაღალ დონეზე მოწყობის მიზნით პარტჯგუფორგებს მიამაგრეს პარტიული ბიუროს წევრები. ამის შედეგად პარტიულ ჯგუფებში საანგარიშო-საარჩევნო კრებები ორგანიზებულად, კომუნისტთა ნაღალი აქტივობის ვითარებაში მოეწყო.

პარტბიუროს ამავე სხდომაზე საანგარიშო მოხსენებისათვის მასალების მოსამზადებლად გამოყვეს ხუთი კომისია, რომლებსაც შემდეგი საკითხების შესწავლა დაევალა: 1. კომბინატის ადმინისტრაციის სამეურნეო საქმიანობისადმი პარტიული კონტროლის განხორციელება, 2. პარტიული სწავლება და სააგიტაციო-მასობრივი მუშაობა, 3. პარტიული ჯგუფების საქმიანობა, 4. პარტიული ხელმძღვანელობა კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციებისა და ნებაყოფლობითი საზოგადოებებისადმი, 5. მრეწველობისა და მშენებლობისადმი ხელმძღვანელობის რეორგანიზაციასთან დაკავშირებით კომბინატის მუშაკთა წინადადებების შესრულების მიმდინარეობის შემოწმება.

თვითეული კომისიის შემადგენლობაში შეყვანილ იქნა სამ-სამი გამოცდილი კომუნისტი. კომისიის წევრებმა ადგილებზე არსებული მდგომარეობის გულდასმით შემოწმების შედეგად სანგარიშო მოხსენებისათვის მდიდარი მასალები მოამზადეს. მთელი რიგი ოპერატიულად მოსაგვარებელი საკითხები, როგორიც იყო, მაგალითად, კედლის გაზეთების ახალი ნომრების გამოშვება, თვალსაჩინოების საშუალებათა ახლით შეცვლა და სხვა ხარვეზები შემოწმებისას მათ ადგილზევე გამოასწორეს.

საანგარიშო-საარჩევნო პარტიულ კრებაზე ყველა კომუნისტის დასწრების უზრუნველსაყოფად წინასწარ იქნა ზომები მიღებული. პარტბიურო შეუთანხმდა კომბინატის საამქროთა ხელმძღვანელებს, და კომუნისტები ცვლებში იმგვარად გაანაწილეს, რომ ყველა კომუნისტს მიეცა კრებაზე დასწრების შესაძლებლობა. მართლაც, საანგარიშო-საარჩევნო კრებას არასაპატიო მიზეზით არც ერთი კომუნისტი არ დაჰკლებია. აღრიცხვაზე მყოფი 47 კომუნისტიდან კრებას მხოლოდ 3 კაცი ვერ დაესწრო. მათგან ორი კომუნისტი შვებულებაშია, ხოლო მე'ათე — ელექტრიკოსი მ. ვართანიანი მოძმე ყაზახეთში იმყოფება ყამირის უხვი მოსავლის ასაღებად.

საანგარიშო მოხსენება პარტბიუროს კოლექტიური ნაშრომია

საანგარიშო მოხსენების შედგენაში პარტბიუროს ყველა წევრი აქტიურად მონაწილეობდა. 4 ოქტომბერს საანგარიშო მოხსენება პარტბიუროს სხდომაზე განიხილეს და მასში მთელი რიგი შეუწორებანი შეიტანეს. განხილვა მანამ არ შეუწყვეტიათ, სანამ არ დარწმუნდნენ, რომ საანგარიშო მოხსენების საბოლოო ვარიანტი სამეურნეო, პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობის ღრმა და მკაფიო ანალიზს იძლეოდა.

— საჭიროდ მიმაჩნია, — განაცხადა პარტბიუროს სხდომაზე კომბინატის მთავარმა ტექნოლოგმა მ. ნოზაძემ, — რომ საანგარიშო მოხსენების იმ ნაწილში, სადაც რაციონალიზატორებთან მუშაობაზეა ლაპარაკი, დამატებით ითქვას იმაზე, თუ როგორ იბრძოდა პარტიული ორგანიზაცია წარმოების ნოვატორთა გამოცდილების გავრცელებისათვის.

— საანგარიშო მოხსენებაში, — თქვა მექანიკოსმა ვ. თამაზაშვილმა, — გაკრიტიკებულია საწარმოს მუშაობის ჩრდილოვანი მხარეები, პარტბიუროს საქმიანობის ნაკლოვანებებზე კი ცოტაა ნათქვამი. მოხსენების ეს ნაწილი, ჩემი აზრით, გაძლიერებას მოითხოვს.

— მე ერთი შენიშვნა მაქვს, — განაცხადა მოწინავე მეარმატურე მ. კუშნირმა, — ურიგო არ იქნება, თუ საანგარიშო მოხსენების რამდენიმე გვერდს შევამცირებთ იმ ვარაუდით, რომ მომხსენებელი 40-45 წუთში ჩაეტიოს.

პარტბიურომ საანგარიშო-საარჩევნო კრების მოწვევის შესახებ განცხადება 5 დღით ადრე გამოაკრა. კომბინატის ყველა კომუნისტმა, მთელმა კოლექტივმა იცოდა, რომ 7 ოქტომბერს საღამოს 5 საათსა და 30 წუთზე მოწვეული იყო საანგარიშო-საარჩევნო კრება.

ზუსტად დანიშნულ დროზე გაიხსნა კრება. კრების მუშაობის წარსამართავად საქმიანი პრეზიდიუმის არჩევის შემდეგ სიტყვა მოხსენებისათვის მიეცა პარტბიუროს მდივანს ამხ. ი. ციხისთავს.

სწორად შევახამოთ პოლიტიკური და სამეურნეო მუშაობა

პარტბიუროს მდივნის ამხ. ი. ციხისთავის მოხსენებიდან

ამხანაგებო! საანგარიშო პერიოდი, რომელიც თითქმის ერთ წელს მოიცავს, აღსავსეა უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობის მოვლენებით. საბჭოთა ხალხი, წარმატებით ახორციელებს რა პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, უდიდესი აღმავლობით ემზადება ღირსშესანიშნავი თარიღის — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის შესახვედრად.

ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელთან ერთად ამიერკავკასიის მეტალურგიული მშენებლობის ტრესტის რკინაბეტონის ნაკეთობათა კომბინატის კოლექტივი ყოველდღიურად აძლიერებს საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებას და ახალ შრომითს წარმატებებს აღწევს ოქტომბრის დიდი დღესასწაულის აღსანიშნავად.

წარმატებათა მოპოვებას დიდად შეუწყო ხელი მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციის გარდაქმნამ, რაც უკანასკნელ ხანებში პარტიამ და მთავრობამ განახორციელეს. წინათ ჩვენი კომბინატი რკინასა და ცემენტს ასობით და ათასობით კილომეტრით დაშორებული ქარხნებიდან იღებდა, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს შექმნის შემდეგ კი ეს მდგომარეობა გამოსწორდა. ამჟამად კომბინატს ცემენტი და რკინა ადგილობრივი ქარხნებიდან მოსდის, რაც საგრძნობლად ამცირებს პროდუქციის თვითღირებულებას.

ჩვენმა პარტიამ, მთელმა საბჭოთა ხალხმა გულისყურმოთმა დაჰგმეს მალენკოვის, კაგანოვიჩის, მოლოტოვის და მათთან მიმხრობილი შეპილოვის ანტიპარტიული ჯგუფის საქმიანობა, რომელიც ბრძოლას ეწეოდა ჩვენი პარტიის ლენინური გენერალური ხაზის წინააღმდეგ, ხელს უშლიდა მრეწველობისა და მშენებლობის მართვის გარდაქმნას. ანტიპარტიული ჯგუფის ფრაქციული საქმიანობის აღსაკვეთად სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ განხორციელებულმა ღონისძიებებმა ხელი შეუწყეს პარტიის რიგების ლენინური ერთიანობის შემდგომ განმტკიცებას.

ჩვენს ქვეყანაში საბინაო მშენებლობის განვითარების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში. დადგენილება დიდ მოვალეობას აკისრებს ჩვენს კომბინატსაც, რომელიც სამშენებლო ინდუსტრიის ერთ-ერთი მსხვილი საწარმოა რესპუბლიკაში.

პარტიის საქალაქო კომიტეტში განყოფილებათა გაუქმება და ინსტრუქტორთა როლის გაძლიერება უკვე იძლევა თავის დადებით შედეგებს. პარტიის საქალაქო კომიტეტის მუშაობა ახალ პირობებში თვალსათლივ ცხადყოფს ამ გარდაქმნის უდიდეს უპირატესობას.

ამხ. ციხისთავი დაწვრილებით ლაპარაკობს პარტიული პროპაგანდისა და აგიტაციის საკითხებზე. გასულ სასწავლო წელს, აღნიშნავს იგი, პარტიულ ორგანიზაციასთან შექმნილი იყო პარტიის ისტორიის შემსწავლელი ორი წრე. ბევრი კომუნისტი და უპარტიო აქტივისტი მონდომებით მუშაობდა თავისი იდეურ-პოლიტიკური შეგნებულობის დონის ამაღლებისათვის. მაგრამ ზოგიერთი კომუნისტი, კერძოდ, ამხ. სტეპანიშვილი, ფანჩულიძე, გოცირიძე და სხვები, უდარდელობას იჩენდნენ რევოლუციური თეორიის დაუფლებისადმი, ხშირად აცდენდნენ წრის მეცადინეობას. ეს ნაკლოვანებები გათვალისწინებულ იქნა პარტიული განათლების ქსელში ახალი სასწავლო წლისათვის მზადების დროს. 1 ოქტომბერს ორგანიზებულად დაიწყო მეცადინეობა პოლიტიკური განათლების წრეებში.

აგიტკოლექტივის მეცადინეობაზე საინსტრუქტაჟო მოხსენებებით არ გამოგვყავს კომბინატის ხელმძღვანელები, განყოფილებათა და სამმართოთა უფროსები. ასეთი მოხსენებები დიდად დაეხმარებოდა ჩვენს აგიტატორებს თავიანთი საუბრების უფრო ცოცხლად და ბიზნესმენად ჩატარებაში.

გადადის რა შინაპარტიული მუშაობის საკითხებზე, ამხ. ციხისთავი დაწვრილებით ლაპარაკობს სკკპ რიგებში ახალ წევრთა მიღებასა და ახალგაზრდა კომუნისტებთან მუშაობაზე, მიღებულ დადგენილებათა შესრულების შემოწმებაზე, კადრების შერჩევასა და განაწილებაზე, პარტიული მეურნეობის მდგომარეობაზე და სხვ.

— საანგარიშო პერიოდში, — ამბობს მომხსენებელი, — საამქროებში შეიქმნა 6 პარტიული ჯგუფი, რომლებიც ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან კომბინატის კოლექტივის დასარაზმავად საწარმოო გეგმების მთლიანად და გადავარბენით შესრულებისათვის. საბრძოლველად. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს რკინაბეტონის საამქროს პარტჯგუფორგანიზატორის ამხ. კაციაშვილის ინიციატივიანი, ენერგიული საქმიანობა.

პარტიული ჯგუფების ანგარიშგებამ და არჩევნებმა, რაც წინ უსწრებდა დღევანდელ საანგარიშო-საარჩევნო პარტიულ კრებას, ხელი შეუწყო არსებულ ნაკლოვანებათა გამომჟღავნებას. გამოირკვა, რომ სუსტად მუშაობდნენ საარმატურო და ძელფენილების საამქროთა პარტიული ჯგუფები. ამ საამქროებში მივიწყებული იყო პოლიტიკური აგიტაცია, სისტემატურად ირღვეოდა შრომითი და საწარმოო დისციპლინა. საჭიროა ახლად არჩეულმა პარტჯგუფორგებმა გაითვალისწინონ კომუნისტთა ყველა კრიტიკული შენიშვნა და საქმიანი წინადადება, უზრუნველყონ გამოვლინებულ ნაკლოვანებათა უახლოეს დროში გამოსწორება.

საანგარიშო მოხსენებაში მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების, აგრეთვე ნებაყოფლობითი საზოგადოებების მუშაობის გაუმჯობესებას. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საანგარიშო პერიოდში ჯეროვანი ყურადღება არ ექცეოდა კომკავშირში მოწინავე მუშა ახალგაზრდების მიღებას.

— პარტიულ-პოლიტიკური და სამეურნეო მუშაობის სწორად შეხამების შედეგად, იმის შედეგად, რომ საანგარიშო პერიოდში პარტიული ორგანიზაცია უნარიანად ახორციელებდა ადმინისტრაციის საქმიანობისადმი კონტროლის უფლებას, თვალსაჩინო წარმატებანია მოპოვებული 1957 წლის საწარმოო დაკალებათა შესრულებისათვის ბრძოლაში.

მიმდინარე წელს კომბინატმა მნიშვნელოვნად გააფართოვა რკინაბეტონის კონსტრუქციების წარმოება. მწყობრში ჩადგა ახალი საამქროები, ათვისებულია მსხვილი ბლოკების წარმოება.

მიმდინარე წლის 9 თვის გეგმა მნიშვნელოვანი გადაჭარბებით — 109 პროცენტით არის შესრულებული.

პროდუქციის თვითღირებულების შემცირების შედეგად წელს დაზოგილია 1 მილიონ 274 ათასი მანეთი.

მაგრამ, ვლაპარაკობთ რა წარმატებებზე, ჩვენ უფლება არა გვაქვს თვალი ავიბრიდოთ ნაკლოვანებებს, არ დავინახოთ ჩამორჩენილი საამქროები და ბრიგადები. ჩამორჩენილთა რიგებშია ბეტონის საამქრო (უფროსი ამხ. გაიტა-ბაში), ყოფილი პარტჯგუფორგანიზატორი ამხ. გველესიანი). საამქროში არის საშუაო ადგილს ცუდად მოწყობის შემთხვევები, ხშირად ირღვევა შრომის დისციპლინა.

უნდა აღინიშნოს, რომ კომბინატის საამქროებში საწარმოო დისციპლინა ჯერ კიდევ არა დგას სათანადო დონეზე, არსებული საწარმოო სიმძლავრენი სრული დატვირთვით არ არის გამოყენებული. ამიერკავკასიის მეტალურგიული მშენებლობის ტრესტის ტექნიკური მომარაგების მთავარი კანტორა ცუდად ამარაგებს საწარმოს სათანადო მოწყობილობითა და მარაგნაწილებით.

მომხსენებელი ლაპარაკობს ტექნიკური უსაფრთხოების წესების დაცვისა და რაციონალიზაცია-გამომგონებლობის შემდგომი განვითარების საკითხებზე და ამხილებს მუშაობაში ბიუროკრატიზმის ფაქტებს. ამხ. ციხისთავი ეხება მუშათა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის გაწეულ მუშაობას და აღნიშნავს ამ საქმეში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებებს.

პარტიული აპარატის სტრუქტურის გარდაქმნის პირველი შედეგები

კამათში სიტყვით გამოსული პარტბიუროს მდივნის მოადგილე ა. კაციაშვილი შეჩერდა პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის აპარატის სტრუქტურის გარდაქმნის შედეგებზე.

— ჯერ კიდევ ნაადრევია ლაპარაკი, — თქვა მან, — პარტიული აპარატის სტრუქტურის გარდაქმნის დიდ წარმატებებზე, მაგრამ პირველი შედეგები აშკარად მეტყველებენ ახლებურად, უგანყოფილებებოდ მუშაობის უპირატესობაზე.

შესამჩნევად ამაღლდა ინსტრუქტორის როლი და პასუხისმგებლობა. ამჟამად ინსტრუქტორები, რომლებსაც თავიანთი მომსახურების გარკვეული ზონები აქვთ მიჩენილი, საწარმოებში მოდიან არა როგორც შემმოწმებლები, არამედ როგორც ორგანიზატორები.

მაგალითად, საქალაქო კომიტეტის ინსტრუქტორებს ამხ. ო. მანაგაძესა და მ. ინასარიძეს ნაყოფიერი ორგანიზატორული მუშაობის გაწევა მოუხდათ ჩვენი კომბინატის ადმინისტრაციული სახლის, სასადილოსა და სხვა ობიექტების მშენებლობის დასაჩქარებლად.

ტექნიკური პროგრესისათვის

— ჩვენს საწარმოში, — განაცხადა კომბინატის მთავარმა ინჟინერმა პ. ბერძენიშვილმა, — მრავალი ტექნიკური სიახლე ხორციელდება რკინაბეტონის კონსტრუქციებისა და დეტალების სულ უფრო ფართო ასორტიმენტით გამოშვებისათვის. რუსთავში უკვე 300-ზე მეტი საცხოვრებელი სახლი ააგეს, სადაც ჩვენს კომბინატში დამზადებულ რკინაბეტონის ნაკეთობათა ფართოდ გამოყენების შედეგად ხე-ტყის ხარჯვა მინიმუმამდეა დაყვანილი. პირველად ჩვენთან გამოიცადა ისეთი მაღალი წარმადობის დანადგარი, როგორიც არის ძელფენილების დამამზადებელი კომბაინი, მოქმედ საწარმოთა მწყობრში ჩადგნენ ავტოკლავისა და სრულიად ახალი ტიპის ეგრეთწოდებული სველად დამფქველი საამქროები, ავითვისეთ საკედლე მსხვილი ბლოკების წარმოება და სხვ.

ამხ. ბერძენიშვილმა ილაპარაკა აგრეთვე სამეურნეო ხასიათის სერიოზულ ნაკლოვანებებზე.

შემოქმედება და ინიციატივა პარტიულ მუშაობაში

— პარტიული მუშაობა, — თქვა რკინაბეტონის საამქროს ოსტატმა ლ. პეროვერზნიკმა, — საქმისადმი შემოქმედებითს, ინიციატივიან მიდგომას მოითხოვს.

სამწუხაროდ, პარტიული ორგანიზაცია ყოველთვის როდი იჩენს საქმისადმი შემოქმედებითი მიდგომის უნარს. კარგა ხანია ჩვენი მეზობელი საწარმოს — მეტალურგიული ქარხნის ცალკეული საამქროები გორკელთა თაოსნობის მაგალითისამებრ საცხოვრებელ ბინებს საკუთარი ძალებით აგებენ და დადებითს შედეგებსაც აღწევენ. ამ სასარგებლო საქმის წამოწყებისათვის ჩვენ, როგორც საშენ მასალათა მწარმოებელი კომბინატის კოლექტივს, უფრო მეტი შესაძლებლობანი გაგვაჩნია, მაგრამ დღემდე არაფერი გაგვიკეთებია.

მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდა ყურადღების ცენტრში

— ჩვენთან, — განაცხადა კომბინატის დირექტორმა შ. ბერიშვილმა, — ოცზე მეტი სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელი მუშაობს.

კომბინატის პარტიულ ორგანიზაციას ინტერნაციონალიზმის ლენინურ იდეებზე მშრომელთა აღზრდის დარგში გარკვეული მუშაობა აქვს გაწეული. მაგრამ, რაც ამ მხრივ დღემდე გაკეთდა, საკმარისი როდია. მომავალში ხალხთა მეგობრობის თემაზე უფრო ხშირად უნდა გავმართოთ აგიტატორთა საუბრები, ლექცია-მოხსენებანი, მოვაწყოთ სხვადასხვა ეროვნების მშრომელთა საღამო-შეხვედრები და სხვ.

პარტიული სწავლების მაღალი დონისათვის

ბეტონის საამქროს ოსტატმა ნ. ნამგალაძემ და კომბინატის ტექნოლოგმა მ. ნოზაძემ ყურადღება გაამახვილეს პარტიული განათლების, ლექციური პროპაგანდის, თვალსაჩინო აგიტაციისა და ძირეული პრესის მუშაობის საკითხებზე.

გასულ წელს პარტიის ისტორიის შემსწავლელ წრეში, რომელსაც პროპაგანდისტი ამხ. ფულარია ხელმძღვანელობდა, მეცადინეობა ხშირად იშლებოდა. პარტბიუროს სისტემატურად არ ამოწმებდა პარტიული განათლების ქსელის მუშაობას, ქმედითს ზომებს არ იღებდა იმ კომუნისტების მიმართ, რომლებიც მეცადინეობას აცდენდნენ.

სისტემატურად მოვაწყოთ შესრულების შემოწმება

— პარტბიუროს, — თქვა ასფალტბეტონის საამქროს უფროსმა გ. გიორგაძემ, — თავისი მუშაობის პრაქტიკაში არ ჰქონდა შემოღებული მიღებულ დადგენილებათა შესრულების სისტემატური შემოწმება.

მთელი რიგი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებანი განუხორციელებელი რჩება. ასე დაემართა, მაგალითად, პროდუქციის ხარისხის, შრომის დაცვისა და ტექნიკური უსაშიშროების გაუმჯობესების მიზნით კარგა ხნის წინათ დასახულ ღონისძიებებს.

* * *

შედგა ახლად არჩეული პარტბიუროს წევრთა პირველი სხდომა. პარტბიუროს მდივნად არჩეულია ამხ. ი. ციხისთავი, ხოლო მდივნის მოადგილეებად ამხ. ა. კაციაშვილი და ამხ. ვ. თამაზაშვილი.

საანგარიშო-საარჩევნო კრების მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პარტიული ორგანოების განყოფილების გამგის მოადგილე ამხ. ვ. სანიკიძე და პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. პ. გილაშვილი.

მაღე დაიწყება საანგარიშო-საარჩევნო პარტიული კრება. დღეს კიდევ უფრო მეტი ენერგიით მუშაობდა დამგრეხი დაზგის ოპერატორი, კომუნისტი პავლე ლუტიძე (მარცხნივ). პარტჯგუფორგანიზატორი, ხსნარის კვანძის ბრიგადის ხელმძღვანელი ალექსანდრე თავშავაძე მას ეკითხება: — რამდენ ნორმას ასრულებ დღეს? ის კი თითებით უჩვენებს, ორსო.



სალამოს 5 საათი და 10 წუთია. საანგარიშო-საარჩევნო კრების დაწყებამდე კიდევ 20 წუთია დარჩენილი. კომუნისტების დიდი უმრავლესობა კი უკვე მოსულია. ჯგუფ-ჯგუფად მოუყრიათ თავი და გაცხოველებით საუბრობენ. სურათზე: რკინაბეტონის ნაკეთობათა კომბინატის კომუნისტთა ერთი ჯგუფი.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

აი რა დაადგინეს

საანგარიშო-საარჩევნო პარტიული კრების მიერ მიღებული დადგენილებიდან, რომლის შესავალ ნაწილში მოკლედ აღნიშნულია მოპოვებული წარმატებანი და გაკრიტიკებულია მუშაობაში ჯერ კიდევ არსებული ნაკლოვანებანი, პარტბიუროს დავალებული აქვს:

გააძლიეროს პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა მშრომელთა შორის; სამეურნეო, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად დარაზმოს საწარმოს მთელი კოლექტივი სახელმწიფო გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის სახრძოლველად, ოქტომბრის დიდი დღესასწაულის ღირსეულად შესახვედრად.

განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს აგიტკოლექტივის მუშაობას, რეგულარულად ჩაატაროს აგიტატორთა სემინარი, ამასთან სემინარის მეცადინეობაზე გამოიყენოს საამქროთა და მთლიანად კომბინატის მუშაობის კონკრეტული მაგალითები; მიიღოს ზომები თვალსაჩინო აგიტაციის გაუმჯობესებისათვის.

სისტემატურად მოაწყოს ლექციები და პოლიტიკური მოხსენებები მშრომელებისათვის.

შემდგომ ამაღლოს პარტიული სწავლების იდეურ-პოლიტიკური დონე; მიაღწიოს წრეების მეცადინეობაზე მსმენელთა აქტივობის ამაღლებას და სწავლების შინაარსის გაუმჯობესებას; უზრუნველყოს პროპაგანდისტები კომბინატის ცხოვრებიდან აღებული მასალებით.

მიიღოს ზომები პარტიის რიგებში მოწინავე მუშების მისაზიდავად; ჩაბას ახალგაზრდა კომუნისტები აქტიურ პარტიულ საქმიანობაში.

პარტბიუროს სხდომებსა და პარტიულ კრებებზე სისტემატურად განიხილოს აქტუალური საწარმოო საკითხები, როგორიც არის ბრძოლა მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებისათვის, თვითღირებულების შემცირების ღონისძიებანი, შრომის ნაყოფიერების გადიდება, ტექნიკური პროგრესის ტემპების დაჩქარება, შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესება, მოწყობილობისა და მანქანა-დანადგარების მოვლა-პატრონობის გაუმჯობესება, ცალკეულ სამქროთა უფროსების მოხსენების განხილვა და სხვ.

კონკრეტული ხელმძღვანელობა და დახმარება გაუწიოს პარტიულ ჯგუფებს, პერიოდულად მოაწყოს პარტჯგუფორგებისათვის სემინარები.

განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს მიღებულ დადგენილებათა შესრულების მიმდინარეობას; პრაქტიკაში შემოიღოს პარტიულ კრებაზე კომუნისტების ინფორმირება წინა კრებაზე მიღებული დადგენილების შესრულების მდგომარეობის შესახებ.

ქმედითი დახმარება გაუწიოს პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს; პარტიულ კრებებსა და პარტბიუროს სხდომებზე სისტემატურად განიხილოს კომკავშირული და პროფკავშირული მუშაობის საკითხები.

კომბინატის დირექციას დაევალა:

უზრუნველყოს 1957 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულება ყველა მაჩვენებლის მიხედვით.

მიიღოს ზომები ზამთრისათვის წარმოების სანიმუშოდ მოსამზადებლად; შემდგომ განამტკიცოს საწარმოო და შრომითი დისციპლინა; არ დაუშვას ტექნოლოგიური რეჟიმის დარღვევის შემთხვევები.

დადგენილებაში გათვალისწინებულია აგრეთვე პრაქტიკული ღონისძიებანი მანქანა-დანადგარების მოვლა-პატრონობის გაუმჯობესებისათვის, ტექნიკური უსაშიშროების წესების ზუსტად დაცვისათვის, გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის ფართოდ განვითარებისათვის.

პროფკავშირის კომიტეტისაგან პარტიულმა კრებამ მოითხოვა მკვეთრად გაუმჯობესოს პროფჯგუფებისადმი ხელმძღვანელობა; განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლას მუშებსა და ბრიგადებს შორის; სისტემატურად ჩაატაროს მუშათა კრებები და საწარმოო თათბირები; პარტიულ ორგანიზაციასა და დირექციასთან ერთად ყოველდღიურად იზრუნოს მუშათა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის; მუშათა და მოსამსახურეთა ძალებით კომბინატის ეზოში ჩამოაყალიბოს თვითმოქმედი წრეები; მიიღოს ზომები იმისათვის, რომ ყველა მუშა და მოსამსახურე იყოს პროფკავშირის წევრი.

პარტიულმა კრებამ კომკავშირის კომიტეტს დაავალა ყველა კომკავშირული და მთელი ახალგაზრდობა დარაზმოს საწარმოო დავალებათა შესრულებისათვის ბრძოლაში აქტიური მონაწილეობის მისაღებად; უზრუნველყოს კომკავშირის რიგებში მოწინავე მუშების მიღება; გააუმჯობესოს ახალგაზრდობაში მარქსიზმ-ლენინიზმის უკვდავი იდეების პროპაგანდა, ძირფესვიანად გარდაქმნას მუშაობა ფიზიკური კულტურისა და სპორტის დარგში.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად

სამშობლოს სადიდებლად, მშრომელთა საკეთილდღეოდ

თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის მეცხრე საამქროში სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდნენ ხარატები ს. ნუცუბიძე, მ. ანდრეიული და ლითონმჭრელი გ. ვართანოვი. სურათზე: ს. ნუცუბიძე (მარცხნიდან), გ. ვართანოვი და მ. ანდრეიული არჩევენ ნახაზს. ფოტო შ. გოქაძისა.

★

სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულნი

შეჯამებულია სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს საბჭოთა მეურნეობების, ცხენსაშენების, სარემონტო ქარხნებისა და საავტომობილო ბაზების სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების 1957 წლის პირველი ნახევრისა და მეორე კვარტალის შედეგები.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსადმი 1957 წლის 2 სექტემბრის ბრძანებით ყარაიის მერძეველობის საბჭოთა მეურნეობას მიეკუთვნა სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა მუშა-მოსამსახურეების პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და მიეცა პირველი ფულადი პრემია 7,5 ათასი მანეთის რაოდენობით. საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ამხ. შ. ხუცუბიძე და მთავარი ზოოტექნიკოსი ამხ. ლ. ნაროუშვილი დაჯილდოებული არიან თითო თვის ხელფასით.

მესამე ფულადი პრემია — 5,6 ათასი მანეთის რაოდენობით მიეკუთვნა მუხროვანის მერძეველობის საბჭოთა მეურნეობას. საბჭოთა მეურნეობის დირექტორს ამხ. დ. მეტრეველს და მთავარ ზოოტექნიკოსს ამხ. შ. გოგოძეს მიეცათ თვითეულს ორი კვირის ხელფასი.

აღინიშნა კარგი მუშაობა გაგრის მერძეველობის საბჭოთა მეურნეობისა, გაგრის მეფრინველეობის ფაბრიკისა, ჩაქვისა და სალიბაურის ჩაის საბჭოთა მეურნეობებისა, რომლებსაც მიეცათ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს და პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელები.

★

დიღმის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობამ ყურძნის დამზადების გეგმა შეასრულა

დიღმის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობამ 7 ოქტომბრისათვის 103 პროცენტით შეასრულა ყურძნის კრეფისა და დამზადების წლიური გეგმა. გეგმით გათვალისწინებული 7.200 ცენტნერის ნაცვლად სახელმწიფოს ჩაბარდა 7.414 ცენტნერი ყურძენი.

მონაწილეობას იღებენ რა დიდი ოქტომბრის 40 წლისთავის აღსანიშნავ შეჯიბრებაში, საბჭოთა მეურნეობის მუშაკებმა იკისრეს ვალდებულება გეგმის გადამეტებით ჩაბარონ სახელმწიფოს 1.300 ცენტნერი ყურძენი.

(საქდესი).

★ ★

პრესის მიმოხილვა

უმნიშვნელოვანესი თემა

ახლოვდება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავი. საქართველოს მშრომელები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად წარმატებით ემზადებიან ამ დიადი დღესასწაულის ღირსეულად შესახვედრისათვის. ჩვენი ქვეყნის მშრომელები სიამოვნებისა და სიამაყის გრძნობით ავლებენ თვალს მშობლიური კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით 40 წლის მანძილზე განვლილ საბრძოლო გზას. ახლა ფაბრიკებსა და ქარხნებში, საკოლმეურნეო სოფლებში უწყობა ძველი ბოლშევიკი რევოლუციონერების შეხვედრები მშრომელებთან. ადგილობრივი გაზეთები ბეჭდავენ მასალებს ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ და კულტურულ ცხოვრებაში მომხდარ უდიდეს ცვლილებათა შესახებ, მშრომელებს აცნობენ იმას, თუ ოქტომბრის მზით გაცისკროვნებულ ქვეყანაში როგორ საბრწყინვალოდ ცხოვრობენ საბჭოთა ადამიანები.

გაზეთი **„საბჭოთა აჭარა“** თავის ფურცლებზე სისტემატურად ბეჭდავს მასალებს სათაურით „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის“. ამ რუბრიკით გაზეთი აქვეყნებს საინტერესო წერილებსა და კორესპონდენციებს აჭარის მშრომელთა თავდადებულ ბრძოლაზე დიადი დღესასწაულის ღირსეულად შეხვედრისათვის.

კარგი ინიციატივა გამოიჩინა გაზეთმა, რომ თავის ფურცლებზე დაიწყო სპეციალური გვერდების მიცემა საერთო სათაურით: „აი რა მოგვცა ოქტომბერმა“. ამ სათაურით 8 სექტემბრის ნომერში გაზეთმა დაბეჭდა მასალები კარგი ფოტოილუსტრაციებით დაბა ოჩხამურის შესახებ. როგორც გაზეთი წერს, წინათ ოჩხამური ჭაობიანი და უკაცრიელი იყო. აქ პირველად 1929 წელს მოვიდნენ საბჭოთა ადამიანები. მათ გულმოდგინედ დაამუშავეს ნიადაგი და 1930 წლის გაზაფხულზე პირველად დარგეს ჩაი. ასე ჩაეყარა საფუძველი პირველი ხუთწლედის პირშოს — ი. ბ. სტალინის სახელობის ოჩხამურის საბჭოთა მეურნეობას. ახლა დაბა ოჩხამურში 6.000 მცხოვრებია. მის ტერიტორიაზე ამჟამად სამი საბჭოთა მეურნეობაა, რომლებიც სახელმწიფოს ყოველწლიურად 3.000 ტონა ჩაისა და 2.000 ტონაზე მეტ ტუნგოს აძლევენ.

ოჩხამურში ახლა ერთი საშუალო, ორი დაწყებითი და ორი შვიდწლიანი სკოლაა, სადაც 600-ზე მეტი ბავშვი სწავლობს. დაბაში არის სამი საექიმო და ამდენივე საფერშლო პუნქტი, ერთი პოლიკლინიკა — საავადმყოფო 35 საწოლით, 7 ექიმი და 18 სამედიცინო მუშაკი. არის რენტგენის კაბინეტი, აფთიაქი და ა. შ.

22 სექტემბრის ნომერში გაზეთმა დაბეჭდა მასალები ჭოროხისპირა სოფლების ერგელის, ხელვაჩაურის, მეჯინისწყლის, ანგისის მშრომელთა შეძლებული ცხოვრების შესახებ. აჭაური შრომისმოყვარე გლეხის ოჯახი, წერს გაზეთი, დიდ გაჭირვებაში ცხოვრობდა. ჭაობი, სიცივე, სიღატაკე, უუფლებობა იყო ჭოროხისპირა სოფლებში მცხოვრები გლეხების ხვედრი. ახლა აქ ვეღარ ნახავთ ჭვარტლიან ჭოხებს. მათ ნაცვლად ილიჩის ნათურებით გაჩირაღდნებული ოდა-სახლებია წამოჭიმული, რომლებიც წელში მოხრილი უუფლებო გლეხის ნაცვლად საბჭოთა ქვეყნის ღირსეული მოქალაქე, მალარიისაგან მოკრუნჩხული ბავშვის ნაცვლად ფეხმარდი და კუნთმაგარი ახალგაზრდობა ცხოვრობს. და ყოველივე ამის შემოქმედი დიდი ოქტომბერია.

ოქტომბრის რევოლუციის მე-40 წლისთავისათვის საინტერესო მასალებს ბეჭდავენ ტყიბულის, თეთრი წყაროს, ჩოხატაურის, მახარაძის, გორის, ლანჩხუთის რაიონული გაზეთები. მათს ფურცლებზე სისტემატურად ქვეყნდება მასალები საერთო სათაურით: „აი რა მოგვცა ოქტომბერმა“, „ოქტომბრის მზის ქვეშ“, „ძველი რევოლუციონერები მოგვითხრობენ“ და ა. შ. ამ რუბრიკებით დაბეჭდილ მასალებში გამოქვეყნებულია მშობლიური კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით განვლილი ბრძოლებითა და გამარჯვებებით აღსავსე გზა, ის უდიდესი ეკონომიური და კულტურული ცვლილებები, რაც ჩვენში 40 წლის მანძილზე მოხდა, თუ როგორ იცვალა სახე ჩვენმა სოფელმა, ქალაქმა, თუ რა სიხარულს მომტანია საბჭოთა ადამიანებისათვის ოქტომბრის დღესასწაულის მოახლოება, შემოქმედებითი შრომით აღსავსე ყოველი დღე.

ყამირი მიწების მექანიზატორებისათვის

ოთხღერძიანი სატვირთო ვაგონები ჩამოაყენეს თბილისის ლითონკონსტრუქციების ქარხნის ეზოში. დიდი რეზერვუარებით, ორასლიტრიანი კასრებით, ლითონის ფერმებით დატვირთეს ეგი და ყაზახეთისაკენ გაისტუმრეს ყამირი მიწების მექანიზატორთა დასახმარებლად.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში საწარმოს კოლექტივი საუკეთესო წარმატებებს აღწევს. მელითონეებმა მიმდინარე წლის 9 თვის საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა 103 პროცენტით შეასრულეს, სასაქონლო პროდუქციისა კი — 108 პროცენტით, შრომის ნაყოფიერება ათვალწილეს 4,3 პროცენტით. პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით სამშობლოს მისცეს ასეულ ათასობით მანეთის ეკონომია.

ლითონკონსტრუქციების ქარხნის კოლექტივს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი საოქტომბროდ ყამირელთა დასახმარებლად გეგმის გადამეტებით ყაზახეთში გაგზავნოს კიდევ რამდენიმე ათეული კასრი.

ძმური მეგობრობის ნიშნით

დუშეთი, 10 ოქტომბერი. (საქ. კორ.). მესამე დღეა, რაც რაიონში იმყოფება დაღისტნის ასსრ გუნიბის რაიონის მშრომელთა დელეგაცია. როგორც ვიფიქრებდით, ქართველმა კოლმეურნეებმა ძვირფას სტუმრებს გულთბილი შეხვედრა მოუწყეს. გუშინ და გუშინწინ დაღისტნელებმა დათვალიერეს ქალაქ დუშეთის ღირსშესანიშნაობანი, ნახეს სარაიონო კულტურის სახლის ახალი შენობა, დუშეთის მტკ-ი.

გუნიბელ მეგობრებს საზეიმოდ შეხვდნენ მარქვის სახელობის კოლმეურნეობაში. აქ სტუმრები დაწვრილებით გაეცნენ კოლმეურნეობის ეკონომიკას. დელეგაციის წევრს იბრაჰიმ რამაზანოვს განსაკუთრებით აინტერესებდა დუშელ მეცხვარეთა შრომისა და ცხოვრების პირობები, შრომის ორგანიზაციის საკითხები.

სახელდახელო კრებაზე, რომელსაც ორასზე მეტი კაცი დაესწრო, სტუმრებს მიესალმნენ კოლმეურნეობის თავმჯდომარე გ. პაპაშვილი, პარტიული ორგანიზაციის მდივანი გ. ვარსიმაშვილი, ბრიგადის ხელმძღვანელი გ. კარიაული, ზოოტექნიკოსი ე. გიორგობიანი. დაღისტნელი მეგობრებისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსი წაიკითხა მასწავლებელმა ს. ჭიაბრიშვილმა. შემდეგ სიტყვა აიღო გუნიბის რაიონის კოლმეურნეთა დელეგაციის წევრმა, სოფელ ბუზტის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ი. რამაზანოვმა, რომელმაც დამსწრეთ მოუთხრო სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების შესახებ.

— ჩვენი კოლმეურნეობა, — თქვა მან, — სამი-ოთხი წლის წინათ ძალიან ჩამორჩენილი იყო, მაგრამ უკანასკნელ ხანს მდგომარეობა თანდათან გამოსწორდა. როდესაც თქვენთან შეჯიბრებაში ჩავებით, ბუზტელებმა იკისრეს ყოველ 100 დედაცხვარზე შეენარჩუნებინათ 103 ბატკანი, თვითეულ ცხვარზე მიეღოთ 2,8 კილოგრამი მატყლი, საფურაჟე ძროხის წველადობა აეყვანათ 1.300 კილოგრამამდე და სხვ. ჩვენ ეს ვალდებულებანი წარმატებით შევასრულეთ. მაგალითად, ყოველ 100 დედაცხვარზე გავზარდეთ 114 ბატკანი, თვითეულ ცხვარზე მივიღეთ 3,8 კილოგრამი მატყლი, თვითეულ საფურაჟე ძროხაზე — 1.400 კილოგრამი რძე.

შემდეგ ამხ. რამაზანოვმა შენიშნა, რომ საჭიროა დუშეთისა და გუნიბის რაიონების კოლმეურნეობები უფრო კონკრეტულად დაეხმარონ ერთმანეთს სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა განაღდებაში. — ჩვენ გვყავს შესანიშნავი ჯიშის ცხვარი და ძროხა, რომლებიც კარგად შეეგუებიან თქვენი რაიონის პირობებს, და რატომ არ შეიძლება ისარგებლოთ ჩვენი დახმარებით? ბუზტელი კოლმეურნეები კმაყოფილნი დარჩებიან, თუ ჩვენს საჯიშე პირუტყვს გამოიყენებთ.

ი. რამაზანოვმა მეცხვარეობის მოწინავე ბრიგადისათვის დუშელებს გადასცა ლამაზად გაფორმებული წითელი დროშა, რასაც კრების მონაწილენი მჭეხარე ტაშით შეხვდნენ.

კრებაზე განიხილეს გუნიბის რაიონის სოფელ ბუზტის კოლმეურნეობისა და დუშეთის მარქვის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა ახალი ვალდებულებანი და გააფორმეს სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულება 1958 წლისათვის.

დელეგაციის წევრები დღეს გაემგზავრებიან სოფელ ჭართლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში.

დაწინაურებულ მაღაროთა კოლექტივები

ჭიათურა. (საქ. კორ.). საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს წარმატებით ასრულებს ვოროშილოვის სახელობის მაღაროს კოლექტივი, რომელმაც ცხრა თვის გეგმის გადამეტებით მეტალურგიას მისცა 5.000 ტონა მარგანეცი.

სექტემბერში დაწინაურდნენ, რვა თვის დანაკლისი დაფარეს და გეგმის ზევით ასეული ათასობით მანეთის პროდუქცია გამოუშვეს დიმიტროვისა და ორჯონიკიძის სახელობის მაღაროთა კოლექტივებმა. ორჯონიკიძის სახელობის მაღაროში წარმატებით მუშაობს უბანი, რომელსაც ცნობილი მაღაროელი, სამთო ინჟინერი პ. მიროტაძე ხელმძღვანელობს. ამ უბნის კოლექტივმა რამდენიმე ახეული ტონა მადანი გამოიღო გეგმის გადამეტებით. კარგად მუშაობენ ჭიათურის მადნის გამამდიდრებელი ფაბრიკები, რომლებსაც ინჟინრები ა. ნიკოლაძე, ბ. ჩხიკვაძე და ვ. თურქაძე უძღვებიან.

წარჩინებული მაღაროელები ბ. კილაძე, შ. მიროტაძე, ი. თაბაგარი, ვახტანგ და პეტრე გაფრინდაშვილები, პ. მეცხოვრიშვილი, მ. ღუღუნიშვილი, ბ. ჩუბინიძე, კ. სხირტლაძე, კ. ნადირაძე, ტრ. ჭიღლაძე, პ. გოგატიშვილი, ხ. ლომიძე და სხვები საოქტომბრო ვახტზე დგანან და დიდი გადაჭარბებით ასრულებენ დავალებებს. მათ უკვე წლიური გეგმები შეასრულეს.

ჯერ კიდევ სკოლაში სწავლის პერიოდში, გაკვეთილების დამთავრების შემდეგ, კალათით ხელში ხშირად მიურბენია ნორა კილაძეს „ტალახნარში“ და მიშველებია თავის უფროს დას — ქეთოს. ნორა დიდად დაინტერესა ჩაის კრეფამ. მალე კოლმეურნეობაში მუშაობაც დაიწყო. თავისი და შეჯიბრებაში გამოიწვია. ბაძავდა რა უფროს დას, ნორა კილაძემ, ჯერ წესიერად გადაბარა პლანტაციები, შემდეგ დროულად გასხლა ბუჩქები, ჩათხნა აზოტოვანი სასუქები და მაისში დაიწყო ნაზი დუყუების კრეფა. შეგირდმა ოსტატს აჯობა. 7 წლის წინათ ნორა კილაძესაც მიანიჭეს სოციალისტური შრომის გმირის სპპატიო წოდება.

„ოცი კაცი რომ მოულოდნელად მესტუმროს, მეზობელს არ შევაწუხებთ, ყველაფერი შინ მაქვსო“, იტყვიან კოლმეურნეები ფილიპე კილაძე, თედორე ჩხეიძე, მიხაკო ხელაძე, ვალიკო კილაძე, კირილე ჩიკაშუა და ბევრი სხვა.

— უსაზღვროდ მიხარია, რომ პარტია ჩვენ, კოლმეურნე ქალებს, თავისი მამობრივი მზრუნველობით აღგვფრთოვანებს შრომაში. ყოველი დღე ჩემთვის ძვირფასია, ახალი ენერგიით ვეფდები შრომას. ამ სიხარულს განსაკუთრებით აძლიერებს საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება, რომელშიც თავიდანვე ჩავები და ვალდებულება კიდეც გავანაღდე, — ამბობს სოციალისტური შრომის გმირი ეკატერინე ჩხეიძე.

სოციალისტური შრომის გმირი შუშანა დარჩია შესანიშნავი მეჩაიეა. ახლა იგი ეჯიბრება მეზობელი მახარაძის რაიონის ძიმითის კოლმეურნეობის ცნობილ მეჩაიეს, სოციალისტური შრომის გმირს სამა ქურიძეს. ამას წინათ სამა ქურიძე ადგილზე ეწვია თავის თანამოსაქმეს.

— შუშანას ნახვა მის პლანტაციაში შეიძლება, — გვითხრა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ლ. გოგუაძემ და „ზემოაც“ „ტალახნარისაკენ“ გაგვიძღოლა. მეგობრები ერთმანეთს გადეხვივნენ, მათს სიხარულს ძმითელი ელპიტე მგელაძე და მამათელი ეკატერინე ჩხეიძეც იზიარებენ. სასაუბრო ბევრი აქვთ შრომის ამ ვეტერანებს.

შუშანამ გვიამბო:

— ჩაის უხვი მოსავალი რომ მოიყვანო, უპირველეს ყოვლისა საჭიროა ჩაის პლანტაციის ვადაზე და მაღალხარისხოვნად დამუშავება. სასუქების დროულად შეტანა, ნიადაგის გაფხვიერება და სარეველებისაგან გაწმენდა, რათა ჩაის ბუჩქებს საშუალება მიეცეს იკვებოს ნიადაგიდანაც და ჰაერიდანაც და, ბოლოს, მთავარია ჩაის ფოთლის სწორად, განუწყვეტლივ კრეფა ყოველგვარ ამინდში. პრაქტიკით დავრწმუნდი, რომ დუყუების დაგვიანებით ანდა ადრეულად მოკრეფა დიდ დანაკარგებს იწვევს.

ძიმითელმა სტუმრებმა ბევრი საინტერესო რამ გაიგეს შუშანას მუშაობის პრაქტიკიდან და მას გამარჯვება უსურვეს. თანაც ძიმითში მიიპატიჟეს, შეჯიბრების საბოლოო შედეგი ამ შეჯახმათო.

აქ, „ტალახნარში,“ მარტო ჟონამ, ნორამ, შუშანამ და სხვებმა როდი გათქვეს სახელი, სოფლის გარეთაც იცნობენ ანიჩა ჩხეიძეს, შატე კილაძეს, ჭუჭულა, გოგუცა და ნუნუ ჩხეიძეებს, რაჩიტა მალაზონიას, მარუსია ჩიკაშუას, ანგელინა მექვაბიშვილს. მოწინავეებში არიან აგრეთვე მამათელი მესიმინდეები ლ. სალუქვაძე, ა. კილაძე, გ. როყვა, ბ. ხელაძე, ა. ლომაძე, პ. კილაძე და სხვები. მათ რახანია გაანადგეს შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებები.

* * *

სახალისოა მამათში მუშაობა, რადგან შრომა უხვად ნაზღაურდება. იყო ღრე, როცა მამათში შრომადღეზე მარტო 2-5 მანეთს აწერდნენ, მაგრამ მამათელებმა მუშაობა გააორკეცეს, გაადიდეს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა, ეკონომიურად განაკუთვნა ჩაისა და 2.000 ტონაზე მეტ ტუნგოს აძლევენ.

ოჩხამურში ახლა ერთი საშუალო, ორი დაწყებითი და ორი შვიდწლიანი სკოლაა, სადაც 600-ზე მეტი ბავშვი სწავლობს. დაბაში არის სამი საექიმო და ამდენივე საფერშლო პუნქტი, ერთი პოლიკლინიკა — საავადმყოფო 35 საწოლით, 7 ექიმი და 18 სამედიცინო მუშაკი. არის რენტგენის კაბინეტი, აფთიაქი და ა. შ.

22 სექტემბრის ნომერში გაზეთმა დაბეჭდა მასალები ჭოროხისპირა სოფლების ერგელის, ხელვაჩაურის, მეჯინისწყლის, ანგისის მშრომელთა შეძლებული ცხოვრების შესახებ. აჭაური შრომისმოყვარე გლეხის ოჯახი, წერს გაზეთი, დიდ გაჭირვებაში ცხოვრობდა. ჭაობი, სიცივე, სიღატაკე, უუფლებობა იყო ჭოროხისპირა სოფლებში მცხოვრები გლეხების ხვედრი. ახლა აქ ვეღარ ნახავთ ჭვარტლიან ჭოხებს. მათ ნაცვლად ილიჩის ნათურებით გაჩირაღდნებული ოდა-სახლებია წამოჭიმული, რომლებიც წელში მოხრილი უუფლებო გლეხის ნაცვლად საბჭოთა ქვეყნის ღირსეული მოქალაქე, მალარიისაგან მოკრუნჩხული ბავშვის ნაცვლად ფეხმარდი და კუნთმაგარი ახალგაზრდობა ცხოვრობს. და ყოველივე ამის შემოქმედი დიდი ოქტომბერია.

ოქტომბრის რევოლუციის მე-40 წლისთავისათვის საინტერესო მასალებს ბეჭდავენ ტყიბულის, თეთრი წყაროს, ჩოხატაურის, მახარაძის, გორის, ლანჩხუთის რაიონული გაზეთები. მათს ფურცლებზე სისტემატურად ქვეყნდება მასალები საერთო სათაურით: „აი რა მოგვცა ოქტომბერმა“, „ოქტომბრის მზის ქვეშ“, „ძველი რევოლუციონერები მოგვითხრობენ“ და ა. შ. ამ რუბრიკებით დაბეჭდილ მასალებში გამოქვეყნებულია მშობლიური კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით განვლილი ბრძოლებითა და გამარჯვებებით აღსავსე გზა, ის უდიდესი ეკონომიური და კულტურული ცვლილებები, რაც ჩვენში 40 წლის მანძილზე მოხდა, თუ როგორ იცვალა სახე ჩვენმა სოფელმა, ქალაქმა, თუ რა სიხარულს მომტანია საბჭოთა ადამიანებისათვის ოქტომბრის დღესასწაულის მოახლოება, შემოქმედებითი შრომით აღსავსე ყოველი დღე.

ახალი სოფლის დაბადება

გვიმრითა და ეკალბარდით დაფარულ სერებზე შეფენილი ქოხმახები, გაუვალი გზები, მგლების ღმუილი, ყანიდან დაგვიანებით მომავალი გლეხის სევდიანი სიმღერა — ასეთი იყო სოფელ მამათის „იდილია“ წარსულში, შიმშილი, უუფლებობა, გაუნათლებლობა სტანჯავდა მშრომელებს.

— მწარეზე მწარე იყო ჩვენი ცხოვრება წინათ, — გულისტკივილით იგონებენ მოხუცები.

ბედუკუღმართი წარსული ისტორიის ჩაბარდა. ოქტომბრის მზემ სითბო და ბედნიერება მოუტანა მამათელ გლეხებსაც.

* * *

თქვენს თვალწინ იშლება თვალუწვდენი ჩაის ხავერდოვანი პლანტაციები, ცისფერ ტუნგო... ქვემოთ, მდინარე სუფსის ნაპირას მშვენიერი ყანებია.

მთლად გამოიცვალა მამათი, თუ სოფელი 10-15 წელია არ გინახავთ, ვფიქრობ კი იცნობთ. აი ისიც: კოლმეურნეობის ადმინისტრაციული სახლი, სასოფლო კლუბი და ბიბლიოთეკა, საშუალო სკოლის ორსართულიანი შენობა, საკოლმეურნეო აბანო, მაღაზია, სასადილო, საექიმო უბანი, აფთიაქი, ფოსტა, ჩაის ფაბრიკა თავისი შესანიშნავი ნაგებობებით.

ყველა ამას მამათელები უმადლიან საკოლმეურნეო წყობილებას. მხოლოდ კოლმეურნეობის ჩამოყალიბების შემდეგ შეიქმნა შესაძლებელი სოფელში გაეშენებინათ 241 ჰექტარი ჩაის პლანტაცია, 70 ჰექტარი ციტრუსები, 80 ჰექტარი ტუნგო, რომლებიც კოლმეურნეობას დიდ ფულად შემოსავალს აძლევს.

ანეტა ჩიკაშუა პირველი შევიდა სასოფლო-სამეურნეო არტელში. იმ წლებში დაიწყო საავტომობილო გზის მშენებლობა, საძირკველი ჩაეყარა ჩაის ფაბრიკასაც. ცოლქმარმა ანეტა და კირილე ჩიკაშუებმა მალე თავი დაალწიეს სიღარიბეს, შვილები გაზარდეს, ოდა-სახლი ააგეს, საკარმიდამო ნაკვეთზე ციტრუსები და ვენახი გააშენეს, ძვირფასი ავეჯი შეიძინეს. ჩიკაშუების ერთი შვილი — გრიშა მეტყველებენ ორენოვანია, მერე — კარლო მასწავლებლად მუშაობს მამათში, მესამე შვილი — ვასილა ჩიკაშუა თბილისში ცხოვრობს.

შერმანდინ ჩიკაშუა წინათ მიწურში ცხოვრობდა, ახლა კარგი სახლ-კარი აქვს, ავეჯიც შეიძინა და კარგად ცხოვრობს.

რ. პატიაშვილის ოჯახს შარშან კოლმეურნეობიდან ერგო 32.333 მანეთი ფულად და სამ ტონამდე მარცვლეული, ვალიკო კილაძეს — 31.806 მანეთი, დ. ჩხაიძეს — 24.180 მანეთი, პ. კილაძეს — 15.530 მანეთი და ა. შ. თუ ამას მივუმატებთ საკარმიდამო ნაკვეთებიდან მიღებულ შემოსავალს, ოჯახის ბიუჯეტი უფრო გაიზრდება.

მამათის სასოფლო-სამეურნეო არტელი ერთ-ერთი მძლავრი კოლმეურნეობაა ლანჩხუთის რაიონში. აქ 350 კოლმეურნის ოჯახი ეწევა საზოგადოებრივ მეურნეობას და ტკბება თავისი შრომის შედეგებით.

შარშან კოლმეურნეობის ფულადმა შემოსავალმა 6.563 ათასი მანეთი შეადგინა, თვითეულ შრომადღეზე განაწილდა 32 მანეთი ფულად და 5 კილოგრამი მარცვალი. კოლმეურნეობის ფულადი შემოსავლის ძირითად წყაროს ჩაის კულტურა წარმოადგენს. ჩაი შეიყვარა ყველამ — ქალმა და კაცმა, დიდმა და პატარამ.

ბევრი სახელოვანი ადამიანი ჰყავს მამათის კოლმეურნეობას.

ვის არ გაუგონია ჟონა კილაძის სახელი. 20 წლის წინათ რესპუბლიკური პრესა იუწყებოდა, რომ ლანჩხუთის რაიონის სოფელ მამათის კოლმეურნეობის ახალგაზრდა მეჩაიე კომკავშირელმა ჟონა კილაძემ ჩაის ფოთლის კრეფაში რესპუბლიკურ რეკორდს გადააჭარბა—ერთ დღეს მოკრიფა 100 კილოგრამზე მეტი ხედლეული. მის მაგალითს ბევრა მიმბაძველი გამოუჩნდა.

ჟონა თბილისში გათხოვდა. მისი ქმარი ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატია. მაგრამ ჟონა ზაფხულობით სოფელშია და ჩვეული ოსტატობით დასტრიალებს თავს ჩაის ბუჩქებს, უხვად კრეფს ფოთოლს, ეხმარება მშობლიური სოფლის კოლმეურნეობის წევრებს.

ერთ დროს უდაბურ და გაუვალ ტყეში — „ტალახნარში“ ახლა სიცოცხლე დამკვიდრებულა. მამათელი მეჩაიეები ჯარასაით ტრიალებენ ჩაის პლანტაციებში, ერთმანეთს ეჯიბრებიან, მწვანე ოქროთი კალთს კალათზე ავსებენ. სასადილო შესვენებისას ლამაზად აგებულ საველე კარვებში აგიტატორი ახალ ამბებზე ესაუბრება მეჩაიეებს, ჩაის მიმღები ტრანსპორტს აშზადებს ფაბრიკაში ფოთლის გადასაზიდად, ბრიგადირი ნამუშევარს აღრიცხავს და შეჯიბრების შედეგს აცნობს მეჩაიეებს.

ვინ არ იცნობს ვენერა სამსონიას, აქ გახდა იგი სოციალისტური შრომის გმირი.

სახელი გაითქვა და სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიიღო კომკავშირელმა ქეთო კილაძემ.



კოლმეურნეები ხარობენ თავიანთი შრომის შედეგებით, უკანასკნელი 2-3 წლის მანძილზე მამათში 89 კოლმეურნემ აიშენა, ან კაპიტალურად შეაკეთა თავისი საცხოვრებელი ბინა, შეიძინა ძვირფასი ავეჯი, ბევრმა რადიომიმღებიც დიდგა.

კულტურა დამკვიდრდა სოფელში. საშუალო სკოლაში 350 ახალგაზრდა სწავლობს. მათს აღზრდას 35 მასწავლებელი ემსახურება, რომელთა შორის 32 ადგილობრივი მცხოვრებია.

120-ზე მეტმა მამათელმა მიიღო უმაღლესი განათლება, მათ შორის არიან მეცნიერი მუშაკები, მწერლები, ინჟინრები, ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკები.

სოფლის ინტელიგენცია დიდ კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას ეწევა მოსახლეობაში. სოფელში ვრცელდება 800 გაზეთი და ჟურნალი, მთელი სოფელი რადიოფიცირებულია, ყოველდღიურად უჩვენებენ ახალ კინოფილმებს, კოლმეურნეები კვალიფიკაციას იმაღლებენ აგროზოოტექნიკურ კურსებზე.

მამათის კოლმეურნეობის ეკონომიკის ძლიერებასა და კოლმეურნეთა შეგნებულობის ამაღლებაზე მეტყველებენ სოფელში ამ უკანასკნელ ბეჩოიდში გაჩაღებული დიდი მშენებლობანი. აშენდა 4 ახალი ბინა 500 სული რქიანი პირუტყვისათვის, საღორე, საფრინველე, სასილოსე კოშკები, სასიმინდეები, საკოლმეურნეო აბანო, ბავშვთა ბაგა, გარაჟი, საწყობები, კლუბი, სახერხი ქარხანა, ელექტროწისქვილი, შარშან გადაეცა საექსპლოატაციოდ კოლმეურნეობის ადმინისტრაციული სახლი, რომელიც სოფლის მშვენებას წარმოადგენს.

კოლმეურნეობამ კოლმეურნეებს გ. კილაძესა და მ. ლუნჯულიას აუშენა საცხოვრებელი სახლები, 17 მოხუც კოლმეურნეს დაუნიშნა მუდმივი პენსია. ამაშიც იგრძნობა საკოლმეურნეო წყობილების ცხოველმყოფლობა.

პარტიამ მოგვიწოდა გაგვეჩაღებინა სოციალისტური შეჯიბრება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის. მამათელი კოლმეურნეები პირველნი გამოეხმაურნენ ამ მოწოდებას. ჩაებნენ რა საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში, მათ იკისრეს მოკრიფონ და დედა-სამშობლოს მისცენ 860 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ორასი ათასი ცალი ციტრუსები, 90 ტონა ტუნგოს ნაყოფი, თვითეულ ჰექტარზე მოიყვანონ 35 ცენტნერი სიმინდი, ერთ საფურაჟე ძროხაზე მიიღონ 870 ლიტრი რძე, მომდინარე წელს ფულადი შემოსავალი აიყვანონ 8 მილიონ მანეთამდე.

მამათელებს სჩვევიათ ნაკისრი ვალდებულებების ვადამდე განაღდება. ეს წელსაც ასე იქნება.

მ. ბარამიძე,
ლანჩხუთის რაიონული გაზეთის „სოციალისტური შრომის“ რედაქტორი.

* * *

სურათებზე: ლანჩხუთის რაიონის სოფელ მამათის კოლმეურნეობის წევრი სოციალისტური შრომის გმირი ე. ჩხაიძე ჩაის ფოთლის მიმღებს ვ. ჩხაიძეს აბარებს ნედლეულს. მარჯვნივ — კოლმეურნეობის ბრიგადირი დ. ჩხაიძე; მამათის კოლმეურნეობის ადმინისტრაციული სახლი.

ՀՈՍԻՆ ՀԱՅԿԱԿԱՆ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ ՄԱՍՆԱԿՑՈՒԹՅԱՆ ՀԱՐԿԱՎՈՐ ՀԱՆՁՆԱԺՈՂՈՎԻ ՈՐՈՇՈՒՄՆԵՐԸ

Երևան-ռադիո, 8 մայիսի. Ռադիոյով. Ընդունվել են Հայկական ՍՍՀ Գերագույն Սովետի նախագահության հերթական նիստում հոսին Հայկական ՍՍՀ Գերագույն Սովետի նախագահության հանձնաժողովների զեկուցումները։

Նիստում ելույթ ունեցավ Հայկական ՍՍՀ Գերագույն Սովետի նախագահության նախագահ Ա. Ի. Ղուկասյանը։

Ելույթ ունեցողները նշեցին, որ Հայկական ՍՍՀ Գերագույն Սովետի նախագահության հանձնաժողովները իրենց նիստերում քննարկել են Հայկական ՍՍՀ Գերագույն Սովետի նախագահության հրամանագրերի նախագծերը, որոնք ներկայացվել են Հայկական ՍՍՀ Գերագույն Սովետի նախագահության հաստատմանը։

Հրամանագրերով հաստատվել են Հայկական ՍՍՀ Գերագույն Սովետի նախագահության հանձնաժողովների կազմերում կատարված փոփոխությունները։

Նիստում ընդունվել են նաև Հայկական ՍՍՀ Գերագույն Սովետի նախագահության որոշումները։

Ելույթ ունեցողները նշեցին, որ Հայկական ՍՍՀ Գերագույն Սովետի նախագահության հանձնաժողովները իրենց նիստերում քննարկել են նաև Հայկական ՍՍՀ Գերագույն Սովետի նախագահության հրամանագրերի նախագծերը, որոնք ներկայացվել են Հայկական ՍՍՀ Գերագույն Սովետի նախագահության հաստատմանը։

Հրամանագրերով հաստատվել են Հայկական ՍՍՀ Գերագույն Սովետի նախագահության հանձնաժողովների կազմերում կատարված փոփոխությունները։

Նիստում ընդունվել են նաև Հայկական ՍՍՀ Գերագույն Սովետի նախագահության որոշումները։

ՀԱՅԿԱԿԱՆ ՍՍՀ ԳԵՐԱԳՈՒՅՆ ՍՈՎԵՏԻ ՆԱԽԱԳԱՀՈՒԹՅԱՆ ՀՐԱՄԱՆԱԳՐԵՐԸ

Երևան, 9 մայիսի. (Ռադիոյով). Հայկական ՍՍՀ Գերագույն Սովետի նախագահության հրամանագրերով հաստատվել են Հայկական ՍՍՀ Գերագույն Սովետի նախագահության հանձնաժողովների կազմերում կատարված փոփոխությունները։

Հրամանագրերով հաստատվել են նաև Հայկական ՍՍՀ Գերագույն Սովետի նախագահության հանձնաժողովների կազմերում կատարված փոփոխությունները։

Հրամանագրերով հաստատվել են նաև Հայկական ՍՍՀ Գերագույն Սովետի նախագահության հանձնաժողովների կազմերում կատարված փոփոխություն